

1.	ხელშეკრულების თარიღი	-----
2.	ხელშეკრულების ნომერი და ხელშეკრულების დასახელება	იჯარის ხელშეკრულება №-----
3.	ხელშეკრულების მხარეები	
3.1.	მეიჯარე	-----ს/ნ -----
3.2.	უფლებამოსილი პირი	-----
3.3.	მინდობილობის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	-
3.4.	მისამართი	ქ.
3.5.	ტელეფონი, ელ.ფოსტა	-
3.6.	ბანკი, ბანკის კოდი	სს ----- ბანკი
3.7.	ანგარიშის ნომერი	-----
3.8.	მოიჯარე	-----ს/კ -----
3.9.	უფლებამოსილი პირი /	-----
3.10.	მინდობილობის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	-----
3.11.	მისამართი	-----
3.12.	ტელეფონი, ელ.ფოსტა	-----
3.13.	ბანკი, ბანკის კოდი	-----
3.14.	ანგარიშის ნომერი	-----
4.	ხელშეკრულების საგანი	ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მეიჯარე მოიჯარეს (დროებით სარგებლობაში) გადასცემს მეიჯარის მფლობელობაში არსებულ ქონებას, რომელიც შემდგომში მოიხსენიება როგორც იჯარის საგანი, ხოლო მოიჯარე ვალდებულია მეიჯარეს გადაუხადოს დადგენილი საიჯარო ქირა.
5.	იჯარის საგნის აღწერა	-----
6.	საიჯარო ქირის ოდენობა	ყოველთვიური საიჯარო თანხა შეადგენს ----- ლარს დღ-ს ჩათვლით. საიჯარო გადასახადი მოიცავს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს და კომუნალური მომსახურების ხარჯს. -----
7.	საიჯარო თანხის გადახდის პერიოდულობა	მეიჯარე საიჯარო თანხას იხდის თვეში -----. ყოველთვიურ საიჯარო ქირას მოიჯარე იხდის ავანსად, საანგარიშო თვის --- ----- რიცხვამდე. იჯარის საფასურს მოიჯარე რიცხავს მეიჯარეს კუთვნილ საბანკო ანგარიშზე.
8.	ხელშეკრულების მოქმედების ვადა	ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ----- კალენდარული ----- განმავლობაში.
9.	საიჯარო საგნის მიზნობრიობა	მეიჯარე იჯარის საგანს გამოიყენებს კომერციული საქმიანობის განსახორციელებლად -----. მოიჯარეს ეკრძალება იჯარის საგნის გამოყენება რაიმე სხვა მიზნისთვის, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნისა.
10.	მხარეთა დასახელება	წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, მეიჯარე და მოიჯარე ერთად მოიხსენიებიან როგორც მხარეები.
11.	პირგასამტეხლო	მოიჯარე ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გადაიხადოს საიჯარო ქირა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევისათვის მოიჯარე ვალდებულია მეიჯარეს

		პირგასამტეხლოს სახით გადაუხადოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული თანხის 0,1%.
12.	საიჯარო ხელშეკრულება	მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან: (ა) წინამდებარე იჯარის ხელშეკრულება (ბ) იჯარის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ან/და (გ) ნებისმიერი დამატებითი დანართი.
13.	უპირატესობა	იჯარის ხელშეკრულების ან/და დანართ(ებ)ის პირობებთან სტანდარტული პირობების წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება იჯარის ხელშეკრულების ან/და დანართ(ებ)ისპირობებს.
14.	ხელშეკრულების ენა	ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად ქართულ ენაზე. თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
15.	ხელშეკრულების გაგრძელება	წინამდებარე ხელშეკრულება გრძელდება ავტომატურად, იგივე პირობებით და იგივე ვადით, თუ მხარეთაგან არცერთი არ შეატყობინებს წერილობით მეორე მხარეს 2 (ორი) კვირით ადრე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

16. მხარეთა ხელმოწერები

მეიჯარე/

მოიჯარე

1. საიჯარო ქონებასთან დაკავშირებული უფლებები

- 1.1. საიჯარო ქონებაზე არსებული უფლებრივი ტვირთის მატარებელია მეიჯარე.
- 1.2. მხარეები თანხმდებიან, რომ მოიჯარის მიერ იჯარის საგნის დაზიანების და/ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიყენებული ზიანისთვის მეიჯარის წინაშე პასუხისმგებლობა ეკისრება მოიჯარეს.
- 1.3. კომერციული მიზნის გამოყენების ფარგლებში მოიჯარე უფლებამოსილია, იჯარის საგანზე განათავსოს მისი დასახელებისა და მისი სამეწარმეო საქმიანობის შესაბამისი სავაჭრო ნიშანი, აბრა, სარეკლამო ბანერი, ასევე თავისი შეხედულებისამებრ მოაწყოს იჯარის საგნის ინტერიერი და ექსტერიერი. იჯარის საგნის გარე ფასადის გამოყენება კანონით დადგენილი წესით შეთანხმებული უნდა იყოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოსთან.
- 1.4. მოიჯარეს არ აქვს უფლება შეცვალოს შენობის კონსტრუქციული გადაწყვეტები ან/და განახორციელოს ისეთი სამუშაოები რომელიც საფრთხეს შეუქმნის შენობის მდგრადობა, ან ზიანს მიაყენებს სხვა ფართის (მათ შორის საერთო სასარგებლო ფართის) მფლობელთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. მეიჯარე მოვალეა:

- 2.1.1. დროულად გადასცეს მოიჯარეს საიჯარო ქონება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში.
- 2.1.2. უზრუნველყოს საიჯარო ფართში წყლის და ელექტროგაყვანილობის არსებობა.
- 2.1.3. შეასრულოს ამ ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

2.2. მეიჯარეს უფლება აქვს:

- 2.2.1. მოსთხოვოს მოიჯარეს საიჯარო ქირის დროულად გადახდა.
- 2.2.2. ვადამდე ადრე, ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მოიჯარის მიერ მუხლის 2.2.3 პუნქტით განსაზღვრული პირობის შეუთანხმებლობის, ამ ხელშეკრულების 3.4. პუნქტის და საიჯარო ქირის ვადის სამჯერ დარღვევის შემთხვევაში, იჯარის ქონების დაზიანებისას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 2.2.3. მოსთხოვოს მოიჯარეს ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, იყენებს იჯარის საგანს ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის ან აზიანებს მას და/ან სჩადის მეიჯარის ინტერესების საწინააღმდეგო სხვა ქმედებებს რომელიც პირდაპირ თუ ირიბად აყენებს მას ზიანს.
- 2.2.4. მოიჯარის თანხმობის გარეშე შევიდეს იჯარის საგანზე, რათა მოახდინოს მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების (მაგ. იჯარის საგნის მიზნობრივი გამოყენების) შესრულების შემოწმება, 1 (ერთ) დღიანი წინასწარ წერილობითი გაფრთხილების საფუძველზე;
- 2.2.5. დაამონტაჟოს საიჯარო ფართში დამატებითი კომუნალური სისტემები სხვა მოიჯარეების სასარგებლოდ, იმ პირობით რომ ამგვარი დანადგარები არ შეუშლის ხელს მოიჯარეს ფართით სარგებლობაში;

2.3. მოიჯარეს უფლება აქვს:

იჯარის ხელშეკრულების სრული ვერსიის მისაღებად/საადვოკატო და იურიდიული კონსულტაციის მიღებისათვის დამიკავშირდით შემდეგ მისამართებზე: www.advokontu.ge facebook: Guram Kontuadze
tel/viber/whatsapp: +995591976764 ელ. ფოსტა: guram.kontuadze@gmail.com
ადვოკატი გურამ კონტუაძე, სრული იურიდიული და საადვოკატო მომსახურება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

პრეკლენტებს ვკმნით ჩვენ

